ცნობის ფურცელი

№ 2513 ხუთშაბათი, 3 ივნისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2513

გაზეთის ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ...ლო-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ...ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

6 ივნისს სოფელ ბასილეთის ახალ შტატის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ოლინკა თავართქილაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ **ივანე გიორგის ძე თავართქილაძე** და ქალი მისი **მარიამი**. (1—1)

Feriencolonien. Colonie des vacances.

„პატარა-ცემი“-ს
საზაფხულო სამყოფი
ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა
მოზარდ ქალ-ვაჟთათვის,

ბაკურიანის რკინის გზაზე, ბორჯომის მახლობლად, მთა ადგილზე, ფიჭვნარში, 4,400 ფუტის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლ-ნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭლების ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, ...ბი და ნოყიერი საზრდო, ყოველგვარი ვარჯიშობა, წყლით ექიმობა და სხვა.

არ მიიღებიან მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელისამე მიზეზისა გამო მთა ადგილს ყოფნა არ არგებს.

ხანა: ორი თვე, 15 თიბათვიდან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებითი ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ...ნ წერილობით შეიძლება მიჰმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისი, ნიკოლოზის ქ. № 46. (0—14)

ტფილისში ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ...ა. ალიხანოვის მშვენივრათ მორთულ

საკანდიტერო დარბაზში
იყიდება
მიტროფანე ლაღიძის
საუკეთესო ქარხნის ნამდვილი
ხილეულის,

მშვენიერი გემოსი და არომატის წყალი ზომიერ ფასებში. (20—ნქ.—3)

პანსიონი
(ნემეცის ქუჩა, სლივიცკის სახლებში, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ)
ალექსანდრე გიორგის ძე
მირზაშვილისა

1-ლ ივნისიდან გადადის სააგარაკოთ. მიიღებიან ვა...ები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე ...მზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სასწა...ლებელში. (150—218—5)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. **გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა ...წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. **დიასამიძე.**—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. ...ფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. **მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის. ...—11 საათ.

ა. ი. **ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9—10 ს.

...მ. **სობოლევსკი.**—ხირურგია და ორტო... ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. ...საათამდე.

...ა. **ბეიერი.**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 ...ათ. ყოველ დღე.

...**ქალი მ. კ. იოსელიანი.**—ქალისა და სა...ბიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

...მ. **მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. ...მოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაო... 11—12 საათამდე.

ნ. **ტყეშელაშვილი.**—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

...მ. **სობოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია. ...შაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული ...ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპე...ბი მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ...თამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ...იდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. ...ქუჩიდან-კი 34 Б. (წლ.)

ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
...ღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
...ოდანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელიზაბედის ქუჩა, № 38).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე. საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—14)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—? საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 ივნისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მისს უდიდებულესობას, 31 მაისს: „დღეს, 31 მაისს, დილით, აღმოვაჩინეთ, რომ იაპონელებმა პულანდიანიდან წინ, ჩრდილოეთისკენ, გამოილაშქრეს. ნაშუადღევის ორ საათისთვის იაპონელები ვანდეგოუდან ტასახოს ხეობამდე გაიშალნენ. მტრის ჯარი შესდგებოდა ორ დივიზიისაგან. ერთი ტასახოს ხეობით მოდიოდა. ნაშუადღევის 4 საათსა და 30 წუთზე იაპონიის ჯარი შეჩერდა და დაიჭირა სოფლები ტაუდიატუნი, ჯანციატუნი და ლინძიატუნი და სიმაღლეები ვანდეგოუს სამხრეთით. ჯერ არ მიმიღია ცნობები იმ ზარალის შესახებ, რომელიც ჩვენ ჯარს მოუვიდა დღეს. დაიჭრა სოტნიკი ჩერეპახინი და რამდენიმე სალდათი. მიღებულის ცნობებით, დღესვე აღმოუჩენიათ, რომ იაპონელებმა სიუიანიდანაც გამოილაშქრეს დოლინის უღელტეხილისაკენ“.

გენერალ ხარკევიჩის დეპეშა მთავარ შტაბს, 31 მაისს: „30 მაისს, ღამე, ვაფანდიანის სადგურის სამხრეთითა და ბიძიგო-პულანდიანის ჩრდილოეთით იაპონელებმა იერიში მიიტანეს ჩვენ სადარაჯოზე სოფელ უდიადენთან, მაგრამ ზარალით უკუ-გდებულ იქნენ. იმავე ღამეს, ბრძოლის შემდეგ, რომელმაც დილამდე გასტანა, ჩვენმა რაზმმა დაიჭირა სიმაღლეები სოფელ ლიდიატუნთან. ჩვენ ოთხი კაცი მოგვიკლეს და 18 დაგვიჭრეს. 26 მაისს, საღამოთი, დასაზვერად გაგზავნილ პორუჩიკს ლანგს უდფახეძის მიდამოებში (აიიანიამინის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, 18 ვერსის მანძილზე) თავს დაეცა მტრის ორის როტისაგან შემდგარი რაზმი. ხელ ჩართულ ბრძოლის შემდეგ ლანგის რაზმმა შესძლო გარღვევა და წასვლა. მიღებულის ცნობებით, იაპონიის რაზმი, 3,000 კაცისაგან შემდგარი, სამხრეთიდან ხუაიჟენსიანისაკენ მიდის თურმე.“

ტოკიო. (ბერლინიდან მოსული). კრეისერ „ვარიაგ“-ის ამოღების საქმე წინ მიდის. უკვე შეაკეთეს გემის შენგრეული ადგილები. იმედი აქვთ, რომ სექტემბრისთვის გემი სულ მზად იქნება.

ტოკიო. („რეიტ. სააგენტო“). გუშინ საღამოთი, როდესაც ტრანსპორტი „ტაიხოკამარუ“ ნაღმებს აწყობდა პორტ-არტურის ნავთ-სადგურის შესავალში, ერთი ნაღმი აფეთქდა. მოკვდა ერთი აფიცერი და 18 მატროსი, დაიჭრა—9. „ტაიხოკამარუ“ მცირედ დაშავდა.

2 ივნისი

მუკდენი. იაპონიის არმია, რომელმაც ალყა შემოარტყა პორტ-არტურს, ინჩენძისა და ლუნდვანტანის შუა დგას. მოწინავე რაზმებს შორის ყოველ დღე თოფის სროლაა. ხმა, პორტ-არტურზე იერიში მიიტანესო, არ გამართლდა. აღმოჩნდა, რომ იაპონელები პულანდიანის ჩრდილოეთით მიდიან. ვაფანგოუსთან მომხდარ შეტაკებაში ჩვენმა მოწინავე რაზმებმა უკუაქციეს მტერი. ზარალი ცნობილი არ არის.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). პალატა. შეკითხვაზე, დამოკიდებული სახელმწიფოა კორეა თუ არაო, სტატს-სეკრეტარის თანაშემწემ უპასუხა—დამოკიდებულიაო. პალატის ერთ წევრის შეკითხვაზე, მოისპობა თუ არა ინგლისის საიჯარო უფლებანი ვეიხავეიზე, თუ პორტ-არტური რუსეთის ხელში აღარ იქნება და სხვა რომელიმე სახელმწიფო დაიპყრობსო, ლორდ პერსიმ უპასუხა, რომ 1898 წელს დადებულ ხელშეკრულობის ძალით, ჩინეთმა მისცა ინგლისს საიჯარო უფლებანი ვეიხავეისა და ნავთსადგურთან მდებარე ზღვის ნაწილზე იმ დრომდე, სანამ პორტ-არტური რუსეთის მფლობელობაში იქნებაო.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტის ბარონ შტაკელბერგის დეპეშა, 1 ივნისს 1904 წ. გამოგზავნილი: „დღეს შუადღიდან დაიწყო ბრძოლა პოზიციაზე სადგურ ვაფანგოუს სამხრეთით, 6 ვერსის მანძილზე. მტერი მედგრად სცდილობდა უკუექცია ჩვენი მარცხენა ფრთე. ჩვენმა ჯარმა უკუაქცია რამდენ ჯერმე იერიშით მოსული მტერი. ჩვენი პოზიცია ჩვენვე შეგვრჩა. პირველ პოლკს, რომელიც პოზიციის მარცხენა ფრთეზე იდგა, სერიოზული ზარალი მიაყენა მტერმა: მოკლულია პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ხვოსტუნოვი და ადიუტანტი, პოდპორუჩიკი დრაგოსლავ ნატტოჩინსკი; გენერალი გერნგროსსი დაჭრილია შრაპნელით მარჯვენა ქვედა ყბაში; ძვალი დაშავებული აქვს, მაგრამ რაზმიდან არ წასულა.

ბერლინი. „ლოკალ ანცეიგერის“ სამხედრო თანამშრომელი, რომელიც წინად რუსეთის არმიაში მსახურებდა, სამსახურიდან გადამდგარი გენერალ-მაიორი გრაფი პფეილი ამბობს, რომ ხშირად გამოთქმული აზრი, პორტ-არტურს ამ მოკლე ხანში იერიშით აიღებენო, სრულებით გაუგებარია. ციხე ომებში გამოცდილ და მამაც კომენდანტის გენერალ სტესსელის უფროსობის ქვეშაა,—სწერს გრაფი პფეილი,—მთელი თვეები გაუმაგრდება მტერს, გარედან დახმარებაც რომ არ აღმოუჩინონ, სანამ ეს საკითხი სხვა ადგილას არ გადაწყდებაო.

(დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონიის ჯარის მთავარ-სარდლადა და ახლად დაპყრობილ ადგილების მეფის მოადგილედ მარშალი იამაგატა დანიშნესო. მთავარ-სარდლის პატივსაცემლად ტოკიოში ნადიმი გამართეს. ნადიმის დროს იამაგატამ სხვათა შორის სთქვა: „გენერალ კუროპატკინს რვა წელიწადია ვიცნობ. რუსის მთავარ-სარდალი მეტად სერიოზული მოწინააღმდეგეა: მახვილი ჭკუის პატრონი და ნიჭიერი სარდალია. მე კარგად ვიცი, რომ გენ. კუროპატკინი გამოცდილი მეომარია, კარგად ვიცი ისიც, რომ რუსის ჯარი ამტანი, თავგანწირული, მამაცი ჯარია, მაგრამ ჩვენ მაინც არაფერს არ შევუშინდებით და ვიდრე ქვეყნიერობაზე ერთი იაპონელი ჯარის-კაცი არსებობს სადმე, ბრძოლაზე ხელს არ ავიღებთო“.

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის კორესპონდენტი ჰფიქრობს, გენერალი კუროპატკინი ჩრდილოეთისაკენ, მუკდენისაკენ დახევას აპირობსო. („რ. ლ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო კორესპონდენტი პოლკოვნიკი გედკე სწერს: იქნება რუსის ჯარმა ლიაოიანიდანა და მუკდენიდანაც უკან დაიხიოს და იაპონიის ჯარს სადმე მუკდენის ჩრდილოეთით შეებრძოლოსო. („პ. ვ.“).

ტოკიოდან ატყობინებენ „დეილი ქრონიკლ“-ს: იაპონელებმა ტალიენვანში ორი რუსის სავაჭრო გემი ჩაძირეს და დიდ-ძალი ქვა-ნახშირი ჩაიგდეს ხელშიო. („რ. ს.“).

ადმირალი კატაოკი იუწყება, 24 მაისს კრეისერ „მასუშიმა“-დან რაზმი გადავიდა კუნძულ სანშანდაოზე (დალნის პირ-და-პირ) ზოგი სახლი და ელექტრონის სადგური რუსებს დაენგრიათ, წყლის აუზისა და საავადმყოფოსათვის-კი ხელი არ ეხლოთო.

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონელებმა ანდუნიდან პიამინამდე ცხენის რკინის გზა გაიყვანეს და ბეჯითად იცავენ, რომ არავინ წაახდინოს. პიამინი ხაიჩენის გზაზე მდებარეობს, დაგუშანიდან 40 ვერსტის მანძილზე. („ნ. დ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ: რადგან მანჯურიის რკინის გზას ხშირად ახდენენ, რუსები მუკდენის ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ, რკინის გზის გასწვრივ, საურმე გზას აკეთებენ; ამ გზაზე ეხლა რუსის ჯარი და ჩინელები მუშაობენ. („ნ. ვ.“).

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ გენ. კუროკის მთავარ სადგომიდან (ფინხუანჩენიდან): ფინხუანჩენში ორი ინგლისელი ქალი მოვიდა იაპონიის სამხედრო საავადმყოფოების დასათვალიერებლად. იაპონელი ექიმები კარგად დაუხვდნენ და ქალების პატივსაცემლად დღესასწაული გამართეს. ინგლისელ ქალებს ძლიერ მოეწონათ იაპონიის საავადმყოფოები. („რ. ს.“).

„რუსკია ვედომოსტ“-ის კორესპონდენტი იუწყება ლიაოიანიდან: ტიურენჩენთან ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა ბევრი რუსის დაჭრილი იარა შეუხვიეს და მერე მშვენიერ საკაცეებით ჩინელების ხელით რუსის ბანაკში გამოგზავნეს. ჩინელებსაც ბევრი დაჭრილი რუსისათვის მოევლოთ და იარები შეეხვიათ.

„სტანდარტ“-ს ატყობინებენ: ჩინელი გენერალი მა ნეიტრალიტეტს იმ დრომდე დაიცავს, სანამ რომელსამე მეომარ სახელმწიფოს ჯარი თითონ არ დაეცემა ჩინეთის ჯარსაო. („რ. ს.“).

ჩინელმა ყაჩაღებმა ნიუჩუანში ინგლისურ გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი მოჰკლეს. განსვენებული კორესპონდენტი ხუთშაბათს ნიუჩუანში დაასაფლავეს. ჩინელმა მეფის მოადგილემ ბრძანება გასცა, კორესპონდენტის მკვლელები სასტიკად დასაჯეთო. („რ. ვ.“).

პორტ-არტური. ჩრდილოეთ-ამერიკის კონსულის ძმა სმისი პორტ-არტურიდან მოსკოვში დაბრუნებულა და „ტაიმს“-ის წარმომადგენლისათვის უთქვამს: ეს არის ეხლა დავბრუნდი პორტ-არტურიდან და ვფიქრობ, რომ თუ ბევრი ხალხი არ შესწირეს მსხვერპლად, იაპონელები ისე ვერ აიღებენ პორტ-არტურსაო. როცა პორტ-არტურიდან წამოველ, რუსებს იქ 38 ათასი მხნე, მამაცი ჯარის-კაცი ჰყავდათ; ესენი თავს დასდებენ პორტ-არტურის გულისათვის. ციხის გარშემო ყველა სიმაღლეზე სანგრები და თხრილებია გამართული და გამაგრებული. არტილერიის ბატარეები მეტად მარჯვე, მოხერხებულ ადგილასაა დადგმული. 300—400 ზარბაზანი დაიდგმულა. თუ გაცილებით მეტი ჯარი არ მიიყვანეს, ან რუსებს უცებ, მოულოდნელად არ დაეცნენ, იაპონელები, სხვაფრივ ციხეს ვერ აიღებენ. საკვები სურსათი რუსებს $4^1/_2$ წლის სამყოფი აქვთ დამზადებული. („ნ. ვ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: „27 მაისი. ეჭვი არაა, პორტ-არტურთან ეხლა დიდი ბრძოლა უნდა იყოს; როგორ მიდის საქმე—არავინ იცის. მძიმე ზარბაზნები იაპონელებს ჯერ მოტანილი არ ექნებათ; ჯერ მხოლოდ უფრო სუბუქ საველე ზარბაზნებს მიიტანდნენ. „კრეუცცაიტუნგ“-ი ჰფიქრობს, იქნება იაპონელებმა რუსის ფორტებ შუა გავლა გაბედონო: პორტ-არტურს ახლო ბევრი გორა და ხევია; თუ იაპონელები ამ გორებსა და ხევებს ამოეფარებიან, რუსის ზარბაზნები ველარას დააკლებენო“.

„დეილი ექსპრეს“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონელების ჯარი 12-14 მილის მანძილზე მიუახლოვდა პორტ-არტურს, მოწინავე რაზმი კი 4 მილის მანძილზე მიუახლოვდაო. იაპონიის ესკადრამ დალნიში 2 რუსის ნაღმიანი გემი ჩაიგდო ხელში. ერთი რუსის გემი ტალიენვანის ბუხტაში ჩაიძირაო. („რ. ს.“).

ხმა დადის, რუსები პორტ-არტურში ზოგიერთ შენობასა და სიმაღლეს ანგრევენ, რომ სროლა აღარ დაუშალოს ჯარსაო. („ნ. ვ.“).

„დეილი ექსპრეს“-ს სწერენ ვეიხავეიდან: პორტ-არტურიდან ერთი ჩინელი ვაჭარი სოკუხი მოვიდა. რაღაც დანაშაულისათვის ამ ვაჭრისათვის რუსებს პორტ-არტურის გარე ფორტებზე მუშაობა მიესაჯათ, მაგრამ ჩინელი გამოჰქცეოდათ. სოკუხი ამბობს: პორტ-არტურის მცხოვრებლებს ყველას იარაღი დაურიგეს და ციხის დაცვა დაავალესო. ვისაც-კი სურსათი ჰქონდა, სულ ჩამოართვეს და სამხედრო კომისარიატში შეინახეს. ვინც სურსათს დამალავს, ან ჩუმად გაჰყიდის, სასტიკადა სჯიან. ყოველ ჯარის-კაცს დღეში 3/4 გირვანქა გამხმარ პურს („სუხარს“) აძლევენ და 1/4 გირვ. ხორცს. გენ. სტესელმა სალდათები შეკრიბა და სიტყვა წარმოსთქვა. სალდათებმა ერთხმად შესძახეს: „მტერს არ დავნებდებითო“.

„დეილი ტელეგრაფ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონელები ჯერ დიდ ზარბაზნებს ეზიდებიან პორტ-არტურისათვისაო. („რ. ს.“).

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონელებმა შეიტყეს, რუსის გემები გაშლილ ზღვაში ვერ გავლენ, რადგან პორტ-არტურში ქვა-ნახშირი აკლიათო. ადმირალი ტოგო მალე ისე შეჰკრავს ზღვას, რომ ველარც ერთი ნავი ვერ შევა პორტ-არტურშიო. („მ. ვ.“).

იაპონელები ჰფიქრობენ, პორტ-არტურში რუსის ჯარს სამხედრო სურსათი უნდა აკლდესო, ამიტომ რუსებს გერმანიის კოლონიიდან კიაო-ჩაოდან ჩინელების ნავებით მიაქვთ სამხედრო სურსათიო. („ნ. ვ.“)

„უესტმინსტერ გაზეთ“-ი სწერს: პორტ-არტური ისეთსავე ყოფაშია, როგორშიაც ლედისმიტი იყო ინგლის-ბურების ომის დროს, მაგრამ პორტ-არტურს გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის, ვიდრე ლედისმიტს ინგლისისათვის. თუ იაპონელები პორტ-არტურს აიღებენ, პორტ-არტურის ესკადრაც დაიღუპება. ამას გარდა, მაშინ ბალტიის ესკადრასაც ველარ გაჰგზავნიან შორეულ-აღმოსავლეთს. („პ. ვ.“).

ბალტიის ესკადრის გაგზავნაზე გერმანული ოფიციოზური გაზ. „კელინიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: ბალტიის ესკადრას შორეულ აღმოსავლეთში ჩასვლა ძლიერ გაუჭირდება. ქვა-ნახშირის შოვნა ხომ მეტად გაუძნელდება; გზაშიაც 2—3 თვეს მეტს დაჰყოფს, ვიდრე ჩვეულებრივ მშვიდობიანობის დროს დაჰყოფდა. სანამ შორეულ-აღმოსავლეთს ჩავა, ვლადივოსტოკის ნავთ-სადგური გაიყინება. თუ იმ დრომდე იაპონელები პორტ-არტურსაც აიღებენ, ბალტიის ესკადრა ბინას ველარ იშოვის და დიდ განსაცდელში ჩავარდება. თუ პორტ-არტურის აღებამდე, რუსის ფლოტი საიგონში (საფრანგეთის კოლონიაშია) ჩავა და თუ საფრანგეთი ნეიტრალიტეტს არ დაარღვევს, რუსის ფლოტი ძალა უნებურად უკან დაბრუნდება; მანამ რუსეთის სამფლობელოს მიატანს, ბალტიის ზღვაც გაიყინება. ასე რომ თუ პორტ-არტური სექტემბრამდე აიღეს, ბალტიის ფლოტი შორეულ აღმოსავლეთს ვერ წავა და მომავალ გაზაფხულამდე თავის ბინაზე დარჩება.

„ტაიმს“-ი გძელ მოწინავე წერილში ამტკიცებს, ბალტიის ესკადრა ამ ზაფხულს ვერაფრის გულისათვის ვერ წავა შორეულ-აღმოსავლეთსაო. („რ.“).

იაპონიის პირველ მინისტრის ნათქვამი. „სტანდარდ“-ი იუწყება: იაპონიის პირველმა მინისტრმა გრაფმა კაცურამ ოთხშაბათს ერთს ევროპიულ გაზეთის თანამშრომელს უთხრა: ეხლა მეტად ძნელი სათქმელია, თუ რას მოითხოვს იაპონია შერიგების დროს, მაგრამ ის-კი ცხადია, რომ იაპონია ომის შემდეგაც იმავე ზომიერ პოლიტიკას დაადგება, როგორსაც ომის წინად ადგა. სამფლობელოს გადიდება და ახალ ადგილების დაჭერა იაპონიას არა სწადიან; საზოგადოთ იაპონია ისეთ არას მოითხოვს, რომ უმთავრეს მრეწველ სახელმწიფოების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს.

ოფიციოზური იაპონური გაზ. „კოკუმინ“ იც ასეთსავე აზრს გამოსთქვამს. გაზეთი სწერს: იაპონია დღესაც არ იტყვის უარს იმაზე, რომ მანჯურია ჩინეთის ხელში იყოს და საერთაშორისო ვაჭრობისათვის გაიხსნასო, ე. ი. ყველა სახელმწიფოს თავისუფლად შეეძლოს იქ ვაჭრობაო. („ნ. ვ.“).

ახალი ამბავი

◆ როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, ბაქოში მყოფ ქართველებს 30 მაისს ადგილობრივ კათოლიკეთა ეკკლესიაში გადაუხდიათ პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულ მოღვაწის **პეტრე უმიკაშვილის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის წინ მამა დონ-ანტონის წარმოუთქვამს გრძნობით სავსე სიტყვა.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ჩერქეზიშვილმა აცნობა მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულს, რომ ქალაქი თანახმაა რწმუნებულის პირობებზე სოლოლაკის გორის ქვეშ **ტუნელის გაყვანის** საქმეშიო.

◆ შემოდგომიდან **თიონეთში ადგილობრივ** სასოფლო საზოგადოების ხარჯით არსდება სასოფლო საავადმყოფო.

◆ მთავარ-მართებლის საბჭოს სატეხნიკო გამგეობის წევრი, ინჟინერი მოლოდცოვი ქუთაისის გუბერნიაში გაიგზავნა **გზებისა და ხიდების დასათვალიერებლად.**

◆ **პარიზიდან გვწერენ**: ფრანგულ ჟურნალ Revue de Linguistique-ში დაბეჭდილია ისტორიულ-ეტნოგრაფიული მიმოხილვა კაპადოკიისა ანუ ლაზისტანისა პროფესორის დავით ჩუბინაშვილისა, ფრანგულად თარგმნილი ბ-ნის პეტრე მირიანაშვილის მიერ.

◆ როგორც ვწერდით, საექსარხოსოს **სამრევლო საეკკლესიო სკოლების ოლქის** ზედამხედველმა მეორედ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას შემწეობა სკოლებისთვის. გამგეობამ ეს საკითხი განიხილა 1 ივნისს და, რადგან ამ შუამდგომლობის შესახებ პევრჯელ ჰქონია მოლაპარაკება, თავისი აზრი აღარ გამოსთქვა და დაადგინა, პირდაპირ წარუდგინოს მოხსენება საბჭოს.

◆ ტფილისის **დედათა მეორე გიმნაზიის** მეცხრე კლასი წელს დაასრულა 46 მოსწავლემ. 30 ქალმა მიიღო მოწმობა შინამასწავლებლისა, ხოლო 16 შინა აღმზრდელისა. სწავლა დამთავრებულთა შორის 38 რუსია, 3—ქართველი, 3—სომეხი, 1—გერმანელი და 1—ებრაელი. ქართველის გვარები: ელენე ბაქრაძე, ოლგა იმნაძე და ოლგა ნასიბაშვილი.

◆ ტფილისის ქალაქის **სახელოსნო სასწავლებელში** საგნების ეგზამენები უკვე დასრულდა. პრაქტიკული მუშაობა გაგრძელდება 10 ივლისამდე. შემდეგ სასწავლებლის მთავრობას, გამგეობის ნებართვით, განზრახვა აქვს მე-4 კლასის მოსწავლენი წაიყვანოს რუსეთის დიდს ქალაქებში სახელოსნოებისა და საფაბრიკო დაწესებულებათა დასათვალიერებლად.

◆ ტფილისის **საბებიო ინსტიტუტი** წელს დაასრულა 26 მოსწავლე ქალმა და ორმაც გარეშემ. ქართველი რვაა: მაღალაშვილი ანნა, ერისთავი მარიამ, მუხაძე ანასტასია, სურგულაძე მატრონა, თოხაძე ეკატერინე, ხირსელი სოფიო, ხიტრია მარიამ და შარაშენიძე პელაგია.

◆ გუშინ ტფილისის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ პოლიციის 1 და 2 ნაწილში გამგეობის ნება დაურთველად გახსნეს სავაჭრო სახლები ქვათაძემ, მათეოსოვმა, გოგოშიძემ, კერვადიძემ, დეკიშვილმა, ქველაძემ, ტოგონიძემ და სხვა 27 კაცმა და ვაჭრობენო. ინსპექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინოს, რომ ყველა ეს სავაჭრო დაწესებულებანი დაიკეტოს.

◆ გუშინ ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ უსახელო საზოგადოება თანახმაა შეუდგეს მოლაპარაკებას ქალაქის გამგეობასთან საჰიდრავლიკო სადგურის აშენების საქმის გამოო.

◆ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო კანცელარიამ მოსთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას შემდეგი ცნობები: რამდენია ამ ჟამად ქალაქის 5% და 6% საობლიგაციო სესხის ჯამი ქალაქის კასაში; 2. რამდენი [illegible] უნდა გადაიხადოს ქალაქმა ამ ობლიგაციებში [illegible] 1905 წლის განმავლობაში და 3. რამდენი ობლიგაცია იქნება ქალაქის მიერ 1905 წლის განმავლობაში განაღდებული.

◆ როგორც ბათუმიდან „ნ. ო.“-ს ატყობინებენ, სოუქსუსთან უნახავთ გვამი დამზღვევ საზოგადოების აგენტის ერმალოზ კაჭახიძისა. მოკლულის გვამი ტომარაში ჩაედოთ მკვლელებს.

◆ ალექსანდროვის ბაღის მებაღეების სახლი უნდა დაანგრიონ, რადგან ამ ადგილას უნდა ააშენონ პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკა. ამის გამო გამგეობამ დაავალა საამშენებლო განყოფილებას, გამოიანგარიშოს რამდენი ფული დასჭირდება მებაღეებისათვის ახალი სადგომის ასაშენებლად.

◆ რადგანაც ქალაქის მეეტლეთა მამასახლისი ქაბინი და მისი თანაშემწე თავიანთ მოვალეობას კარგად არ ასრულებენ, ქალაქის გამგეობამ, პოლიცმეისტრის თხოვნის თანახმად, დაადგინა, დაითხოვოს ისინი თანამდებობიდან და დაინიშნოს ახალი არჩევნები.

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიან დამატების № 224.** შინაარსი: „როცა ვარდს სძინავს“, ლექსი ი. ევდოშვილისა, „სოლომონი ლიდიაში“, ფილოსოფიური ამბავი, თარგმნი ტატო—ძეს მიერ, „გველი და კაცი“, ოსმალური ლეგენდა კოლა ასათიანისა; სურათები: „სამედო შუქი“, კოტარბინსკისა, გენერალი კუროპატკინი ბრძოლის ველზე, გენერალი კუროკი ბრძოლის ველზე, გენერალი ოკუ, იაპონელი პრინცი სადილობს მატროსებთან ერთად და ორი კარიკატურა.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

29 მაისი

(დასასრული *)

კრებას მოხსენდა ჭაგნის საზოგადოების „მუშათა კავშირი“-ს თხოვნა შესახებ იმისა, რომ მიეცეს მას ერთდროულ შემწეობად 1000 მანეთი სამუშაო იარაღების შესაძენად. როგორც თხოვნიდან სჩანს, ჭაგნის თავად-აზნაურობას შეუდგენია სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, სახელად „მუშათა კავშირი“, რომლის წევრობა შეუძლია როგორც აზნაურს, ისე გლეხს. საზოგადოებას შეუძენია სამეურნეო იარაღები და შესდგომია თავის ხელით მუშაობას. „კავშირს“ აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული წესდება, ჰყავს გამგეობა და სხ. თხოვნასთან საზოგადოების თავმჯდომარემ ი. ქაჯაიამ წარმოუდგინა კრებას ქუთაისის მაზრის თავ. ჯ. თ. დადეშკელიანის მოწმობა, რომლითაც ის ამტკიცებს „კავშირის“ არსებობას და მის სიმპატიურს დანიშნულებას. ზედამხედველ კომიტეტს განუხილავს თხოვნა და დაუდგენია, მიეცეს საზოგადოებას ერთდროულად 250 მანეთი. ამ შუამდგომლობამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ზოგი, მათ შორის გამგეობის თავმჯდომარეც, იმ აზრისანი იყვნენ, რომ თუმცა „კავშირი“ სიმპატიურია, მაგრამ ბანკს ღონის ძიება არა აქვს დაეხმაროს. უმეტესობა-კი საჭიროდ სთვლიდა, სავსებით იქმნას დაკმაყოფილებული ახალ დაწესებულების თხოვნა. კრებამ ერთხმად დადგინა—მიეცეს საზოგადოებას 1000 მანეთი.

კრებას მოხსენდა ბანკში მოსამსახურედ ნამყოფის ქალანთაროვის ქვრივის თხოვნა ერთდროულად 300 მანეთის შემწეობის მიცემის შესახებ. ქალანთაროვს 10 წლის განმავლობაში ერთგულად უმსახურნია ბანკში; როდესაც გადაცვლილა, ქვრივისათვის 100 მანეთი მიუციათ მიცვალებულის დასასაფლავებლად.

ფელეტონი

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 25 წლის განმავლობაში

(1879—1904)

II. საზოგადოების სკოლები *)

6. ძველი სენაკის სკოლა: სენაკის სკოლის დაარსება აღძრა ქუთაისის თავად-აზნაურობამ და გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა მიუწდომელი იყო თავის სიშორით სამეგრელოს მრავალის თავად-აზნაურის შვილებისათვის. სკოლისათვის საჭირო ხარჯის გაწევას ჰკისრულობდა იგივე ბანკი, რომელიც ინახავდა ქუთაისის სკოლას და „საზოგადოების“ გამგეობამ 1884 წ. 7 აგვისტოს ითხოვა დირექციისაგან ნებართვა, რათა გადატანილი ყოფილიყო ქუთაისის სკოლის პირველის და მეორე განყოფილების პარალელური კლასები ძველსენაკში. დირექციამ ამ კლასების გადატანა იცნო ცალკე ახალის სკოლის დაარსებად და მოითხოვა სკოლის სასწავლო გეგმა, რაიც გამგეობამ შეადგინა თანახმად „საზოგადოების“ წესდებისა და წარუდგინა დირექციას. ამის შემდეგ მოვიდა ნებართვა 1884 წ. 10 ოქტომბერს, და სკოლაც გაიხსნა. სკოლაში შემსვლელთა რიცხვი დიდი იყო, მაგრამ უადგილობისა გამო მიღებულ იქნა მხოლოდ 91 ბავშვი, რომელთა რიცხვში ორი გურული იყო, დანარჩენი-კი უმეტესობა სენაკის მაზრიდან, მცირე ნაწილი—ზუგდიდის მაზრიდან. შემდეგის, 1885 წლის სექტემბრიდან გაიხსნა მესამე და მეოთხე განყოფილება და სკოლა შეიქნა სრულ 4 განყოფილებიანი მოსამზადებელი სასწავლებელი, როგორიც არის დღესაც.

სკოლის სასწავლო გეგმა იმგვარივე იყო, როგორც ქუთაისის სკოლაში, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ გეგმის დასაცველად დიდი ცდა შეიქნა საჭიროდ. 1886 წ. აგვისტოში შემდეგი ქაღალდი მოიწერა ქუთაისის სახალხო სკოლების დირექციამ: სენაკის სკოლის გამართვა ნება დართული იყო იმ პირობით, რომ სკოლაში სწავლება ყოფილიყო თანახმად 1881 წ. 13 იანვრის წესდებისა, რომელიც თხოულობს, რომ ადგილობრივ სასოფლო სკოლებში სწავლება უნდა სწარმოებდეს სამშობლო ენაზე. ამიტომ ძველ სენაკის სკოლაშიაც სწავლება უნდა იყოს სამშობლო, ე. ი. მეგრულ ენაზე; ქართულის ენის სწავლება კი უნდა იწყებოდეს მეორე წლიდან და მასთან ქართულს უნდა სწავლობდნენ ბავშვები, როგორც ცალკე საგანს; ამისათვის საჭიროა, რომ სკოლაში მოწვეულ იქნენ მასწავლებლები, რომელთაც იციან მეგრული ენა.

ამაზე სკოლის გამგემ უპასუხა დირექციას, რომ სენაკის სკოლა არის ქუთაისის სკოლის განყოფილება, იგი დაარსებულია მთელის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან და სკოლაში შეიძლება მიღებულ იქნენ არა მარტო მეგრელები, არამედ მთელის გუბერნიის ქართველები. დირექციამ მეორე ქაღალდი მოიწერა და მაინც თავისი განიმეორა, ხოლო დაუმატა: მართალია, სენაკის სკოლა მარტო მეგრელებისათვის არ არსებობს, ამიტომ სწავლება აწარმოეთ „ქართველებისთვის ქართულად და მეგრელებისთვის—მეგრულადო“. ამ საგნის შესახებ ჰქონდა მსჯელობა ქუთაისის ბანკის დამაარსებელ თავად-აზნაურთ და 1887 წ. 12 მაისის სხდომაზე მიანდეს ზედამხედველ კომიტეტს, აღეძრა მას შუამდგომლობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველთან, რათა სენაკის სკოლაში სწავლება დარჩენილიყო ქართულ ენაზე. სხდომას დაესწრნენ, რასაკვირველია, მეგრელი თ.-აზნაურები. თავის თხოვნის დასასაბუთებლად თავად-აზნაურობას მოჰყავდა ის მოსაზრება, რომ მეგრული არის დიალექტი ქართული ენისა, რომ მეგრელები ქართულად ლოცულობენ, ქართულ ენაზე აქვთ მწერლობა, რომ მეგრელები და ქართველები ერთნი არიან, ერთი ისტორია ჰქონდათ, რომ წინადაც მოინდომა მთავრობამ სადვთო წერილის მეგრულად გადათარგმნა, მაგრამ ეს ფუჭად უვარგისი გამოდგა და სხ.—გამგეობამაც მისწერა სკოლის გამგეს, დაეცვა არსებული წესი, ხოლო ქართული ენა სავალდებულო უნდა გახადა ყველა ბავშვებისათვის მათის მშობლებთან შეთანხმებით სკოლაში მიღების დროს.—ოლქის მზრუნველმა შეიწყნარა თავად-აზნაურობის თხოვნა და 1888 წ. მარტში ნებადართო „საზოგადოებას“, რომ სენაკის სკოლაში სწავლება დარჩენილიყო ქართულ ენაზე, თუმცა ისიც დაუმატა მზრუნველმა, რომ იმ ბავშვებს, რომელთაც სუსტად იციან ქართული, საგნები მეგრულად ასწავლეთო...

სკოლაში სწავლა პირველ წლებში გვარიანად იყო დაყენებული. ხოლო შემდეგ მთელი [illegible] წლის განმავლობაში სკოლას დიდად ავნო გამგის უთანხმოებამ მასწავლებლებთან, რომელიც მეტად სამწუხარო მოვლენა იყო არამც თუ „საზოგადოების“, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. სკოლას აქვს [illegible] საკუთარი შენობა, ერთი დიდი შენობა [illegible] რებით სამეურნეო განყოფილებისათვის [illegible] აგებული, რომელიც დიდი ხანია უნდა [illegible] სკოლასთან, მაგრამ უფულობისა გამო დღესაც მოუწყობელია. 1895 წლიდან სკოლაში იღებენ ქალებსაც. პირველ წელიწადს სკოლაში სწავლობდა 90 მოსწავლე, შარშან-კი 165. სულ დაარსებიდან 1903 წლამდის სწავლობდა 2477 შაგირდი. სკოლაზე იხარჯება დღეს 6000 მა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2499.

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2512

რადგან სხვა საშუალება ვერ აღმოაჩინეს, კრებამ თავ. დ. ო. ნიჟარაძის წინადადებით დაადგინა, მიეცეს ქალანთაროვის ქვრივს 300 მანეთი იმ ფულიდან, რომელიც ზედამხედველ კომიტეტის განკარგულებაშია.

ჯ. იაშვილი წინადადებას იძლევა, რომ შემდეგში მაინც შემოღებულ იქმნას წესად, რომ კერძო თხოვნები, სანამ რომელსამე მათგანს დავაკმაყოფილებდეთ, ან უყურადღებოთ დავტოვებდეთ, რიგ-რიგად იქმნას წაკითხული, რომ საზოგადოებამ წინდაწინვე აწონდაწონოს და რომელიც უფრო ყურადღების ღირსია, ის დააკმაყოფილოს; ეხლა-კი სრულიად პატივსადებიც რომ არ იყოს, იმ თხოვნებს ვაკმაყოფილებთ, რომელთაც პირველად შემოგვაპარეს, და ხშირად ისეთ თხოვნებისთვის აღარაფერი გვრჩება, რომელნიც უსათუოდ უნდა შევიწყნაროთო.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ბანკზე დარჩენილ მამულების მდგომარეობამ. როგორც აღმოჩნდა, ეს მამულები, თუმცა წარსულთან უკეთესს, მაგრამ კიდევ უნუგეშო მდგომარეობაშია; საანგარიშო წლის განმავლობაში ბანკზე დარჩენილ მამულებს შემოსავალი უფილა სულ 1100 მანეთი, წინად-კი 500 მანეთი იყო. თუმცა გამგეობას წარსულ წელში გაუხომვინებია 15 მამული და საზღვრებიც აღუდგენია, მაგრამ უმეტესი ნაწილი კიდევ გამოურკვეველს მდგომარეობაშია: ბანკმა არ იცის აქვს თუ არა იმ სივრცის მამულები, როგორც პლანში აქვს აღნიშნული. კრებამ დაავალა გამგეობას მიიღოს უფრო ენერგიული ზომები ბანკზე დარჩენილ მამულების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

შემდეგ კრება შეუდგა არჩევნებს. ეხლა-კი თითქმის აივსო ამდენ ხანს ცარიელი თეატრი. წილის ყრით სამსახურიდან გამოსვლა ჰხვდა გამგეობის წევრს ი. ვ ჯაიანს, რომელიც კრებამ ისევ ერთხმად აირჩია ზემოხსენებულ თანამდებობაზე.

შემდეგ წილი უყარეს ზედამხედველ კომიტეტის ოთხს წევრს: თავ. ს. გ. წერეთელს, თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე, დ. ა. ლორთქიფანიძე და ა. თ. ნანეიშვილს. წილის ყრით სამსახურის თავის დანებება ჰხვდათ თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძეს და დ. ა. ლორთქიფანიძე. საზოგადოება თხოულობს, რომ ისევ ძველები დარჩნენ კენჭის უყრელად.

თავ. დ. ო. ნიჟარაძე თხოულობს, რომ ზედამხედველ კომიტეტის წევრად არჩეულ იქმნას გუბერნიის წინამძღოლი თავ. ს. დ. წერეთელი. თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე უარს აცხადებს კენჭის ყრაზე და თავის ადგილს უთმობს გუბერნიის წინამძღოლს. დ. ა. ლორთქიფანიძეც უარს ამბობს და უმჯობესად სთვლის, რომ თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე დარჩეს კომიტეტის წევრად, რადგან მას მეტი თავისუფალი დრო აქვს და ზედამხედველ კომიტეტის თითქმის ყველა წევრებზე მეტს მუშაობს. თავ. ს. დ. წერეთელმა მადლობა გამოუცხადა კრებას, რომელმაც ისურვა მისი ერთხმად არჩევა, და უარი განაცხადა კომიტეტის წევრობაზე. ზოგიერთების სურვილით ყუთი დაუდგეს თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძეს და დ. ა ლორთქიფანიძეს. პირველმა მიიღო 47 თეთრი კენჭი და 34 შავი; მეორემ 60 თეთრი და 20 შავი. ამგვარად კომიტეტის წევრებად ისევ ძველები დარჩნენ.

რუსეთის ქრონიკა

◆ მწერალს ფარესოვს მოჰყავს „ს.-პეტ. ვედ.“-ში საყურადღებო საუბარი სახელგანთქმულ მწერალ ლ. ნ. ტოლსტოისთან. ტოლსტოის სხვათა შორის, უთქვამს: „ლესკოვი პირველი გამოჩენილი მწერალი იყო რუსეთში, რომელიც მცირე პრესსაში თანამშრომლობდა, უბრალო ხალხს ესაუბრებოდა. მან დასტამბა „პეტერბურგსკ. ვაზ.“-ში საგულისხმიერო მოთხრობა, „პრიატელი ობიდელი“, რომელშიაც ქურდისაგან გაძარცული მწერალი გამოიყვანა. მწერალმა აპატია ქურდს დანაშაული, რადგან იცოდა, რომ დამნაშავეს დასჯა იმისი ოჯახის დასჯას ჰნიშნავდა. ქუჩის გაზეთის მკითხველებისათვის ძლიერ საჭიროა ამგვარი კეთილი აზრები. ჟურნალ „ნივას“ ბევრი ხელის მომწერი ჰყავს, მაგრამ იმათ შეუძლიათ სხვა გამოცემანიც იკითხონ. ქუჩის გაზეთის მკითხველი-კი მხოლოდ ამ გაზეთსა ჰკითხულობს. სხვებზე უფრო ამისთანა მკითხველისთვისაა საჭირო კარგი მწერლები. ხშირად მიფიქრია იმაზე, რომ „მოსკოვსკი ლისტოკ“-ში უნდა მეწერა. გავრცელებული გაზეთია და იმის მკითხველები, ჩემის აზრით, ყველაზე უფრო დინჯი და საჭირო ხალხია. „მოსკოვსკი ლისტოკ“-ში რომ მეწერა, ამით სხვა მწერლებსაც მივიზიდავდი იქა, გაზეთიც უფრო ფაქიზი შეიქნებოდა და ქუჩის მკითხველებს კარგ სულიერ საზრდოს მიაწოდებდა. ნამდვილი საჩემო გაზეთია, და სიტყვა-კაზმულ ამბების წერას თუ შევუდგები, უეჭველად ვიფიქრებ სახალხო გაზეთზე. რედაქციის წევრებს კი არ ვაფასებ, არამედ ჩემ მკითხველებს, განსაკუთრებით იმისთანებს, რომელთაც არაფერი აქვთ საკითხავად, ყველასაგან თავმინებებულნი არიან. დიახ, ძლიერ, ძლიერ საჭიროა, რომ ჩვენ ნაწერებს კითხულობდეს დინჯი, მშრომელი ხალხი. მუშა ხალხისათვის წერა ძნელი საქმეა: ყველა ამ მეეზოვებისათვის, დუქნებში მოსამსახურეთათვის, სამიკიტნოების მუშტრებისათვის, წვრილ მოხელეებისათვის, მოსამსახურეებისათვის, ქარხნის მუშებისათვის, სალდათებისათვის, ვაჭრებისათვის და სხვ. გააგონეთ ამ ხალხს თქვენი აღფრთოვანებული სიტყვა და იგი შეგიყვარებს თქვენ. იმუშავეთ ამ ხალხისათვის, თქვენი ამხანაგებიც მოიზიდეთ ამ სამუშაოზე და ისეთ მსმენელთა წრეს შექმნით, რომელთაც დღევანდელ მკითხველებზე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ. საბრალოა მწერალი, რომელიც უყურადღებოდ ეკიდება ამ ხალხს და ტაშის ცემას ელის ისეთ პირებისაგან, რომელნიც უსაქმობის გამო კითხულობენ იმის ნაწერებს. მწერლებისათვის ისეთი მკითხველებია საჭირო, რომელნიც მისგან ცხოვრებაში ხელმძღვანელობას ელიან და არა ისეთები, რომელნიც დაძინების წინ კითხულობენ მათ ნაწერებს. დასაძინებლად კი არა, ქრისტიანულ ცხოვრებისათვის გასაღვიძებლადაა საჭირო წიგნი. მიხარიან, როცა ქუჩის გაზეთში ნიჭიერ და პატიოსან მოაზრეს შევხვდები ხოლმე და ძლიერ სამწუხაროა, რომ ამისთანა შეხვედრა ძვირი მოვლენაა ცხოვრებაში.

◆ ერთ პეტერბურგელ მწერალს აუწყებენ სოფ. იასნაია პოლიანიდან, რომ ლ. ნ. ტოლსტოი შეუდგა თავის უკვე დასრულებულ მოთხრობის, „ჰაჯი-მურატის“, განხილვას და ხელ-ახლად შემუშავებას. ამ ბოლო დროს ბევრი სტუმარი სწვევია ტოლსტოის სოფელში, სხვათა შორის, უცხოელი კორესპონდენტებიც ეწვივნენ, რომელნიც გამოგზავნილნი არიან თავიანთ ორგანოებისათვის რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ ამბების გადმოსაცემად.

◆ გზათა სამინისტროს განკარგულებით რკინის გზის გამგეობათ დაევალათ გამოარკვიონ, თუ რამდენად კეთილ-საიმედონი არიან რკინის გზის მოიჯარადრეები, რამდენად აკმაყოფილებენ მუშების კანონიერ მოთხოვნილებათ და, თუ მოიჯარადრეები დანიშნულ ქირას არ აძლევენ მუშებს, უკანასკნელნი რკინის გზის გამგეობამ მოიჯარადრეთა ხვედრ ფულიდან უნდა დააკმაყოფილოს.

◆ პეტერბურგის ქალაქის სამმართველოს შეუდგენია ხარჯთ-აღრიცხვა ქუჩებზე ელექტრონის რკინის გზის გასამართავად. გზას საერთოდ **422** ვერსი სიგძე ექნება და დაჯდება სულ **42** მილიონი მანეთი.

◆ „ნოვოსტი“-ს აუწყებენ, რომ ვოლოგდის გუბერნატორს წინადადებით მიუმართავს ქალაქის სამმართველოსთვის იმის შესახებ, რომ უკანასკნელმა ბინა მისცეს და არჩინოს დატყვევებულ იაპონელთა ერთი ნაწილი. ქალაქის საბჭოს უარი განუცხადებია, ქალაქს საამისო შეძლება არა აქვსო.

◆ გაზ. „მოსკოვ. ვედომ.“-ის სიტყვით, ყაზანის გუბერნატორს განკარგულება გაუგზავნია ერობის გამგეობათათვის, რომელშიაც ნათქვამია შემდეგი: „ცნობები მომდის, რომ ზოგიერთი საერობო კრებანი და გამგეობანი სხვა-და-სხვა საკითხთა განხილვის დროს არსებულ დებულების დაგვარად არ იქცევიან და ბჭობაში მონაწილეობის მისაღებად მახლობელ და სხვა ერობათა წარმომადგენლებს იწვევენ ხოლმე. ვაცხადებ, რომ ამგვარი მოქმედება აკრძალულია და შემდეგში უმაღლეს მთავრობისაგან ნება-დაურთველად არ უნდა მოხდეს.“

◆ გაზ. „ოდესკ. ნოვ.“-ის სიტყვით, ოდესის მაზრის ერთ საერობო უფროსს გაურჩევია საქმე 25 სექტანტ (მწვალებელნი) შტუნდისტების შესახებ, რომელთაც ჰბრალდებოდათ შტუნდისტთა წესისამებრ ლოცვის გამართვა თავის თანამორწმუნე მეზობლის გასვენების დროს. საერობო უფროსმა 30 მან. ჯარიმა მიუსაჯა თვითეულ ბრალდებულს. საქმე განსაჩივრებულ იქნა და ოლქის სასამართლომ გაამართლა ყველა ბრალდებულნი.

◆ კიევის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საბჭოს გადაუწყვეტია წელს 320 კაცი მიიღოს ოთხივე განყოფილების პირველ კურსზე და საკონკურსო ეგზამენების მაგიერ წილი უყაროს ინსტიტუტში შესვლის მსურველთ.

სასამართლო

ორი სოფლის შეტაკება და 26 კაცის მოკვლა

ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ 27 მაისს თიანეთში გაარჩია საყურადღებო საქმე. პასუხის გებაში მიცემულნი იყვნენ ხევსურები, სოფელ შატილას მცხოვრებნი, ბაჭკა და ღვთისო ჭინჭარაულები. ბაჭკიას ჰბრალდებოდა იმედა და ძაღლიკა გოგოჩურების, ხოლო ღვთისოს—სიმუკა და ანალუკა გოგოჩურების მოკვლა. გამოძიებით შემდეგი გამორკვეულა. 1902 წელს, 6 ივნისს, სოფელ გუროს მცხოვრები ქალი ნათელა გოგოჩური აძოვებდა თხებს იმ ადგილში, რომელიც ხაზინისაგან მიცემული აქვთ შატილასა და გუროს მცხოვრებთ. შატილელებს ჭუილოსა, ხახოსა, გამახელსა და სხვა ჭინჭარაულებს შეუნიშნავთ, რომ ნათელა გოგოჩური იმათ სანაწილო ადგილში აძოვებდა თხებს. მისულან, წაურთმევიათ თხები და წაურეკიათ თავიანთ სოფლისაკენ. ნათელას ეს ამბავი უცნობებია თავის ნათესავებისათვის და უთქვამს, ლეჩაქი დაგეხუროთ თავზე, თუ სამაგიერო არ გადაუხადოთ შატილელებს და ეს შეურაცხება შეარჩინოთო. მაშინვე შეკრებილა 60 კაცზე მეტი, შეიარაღებულან, გამოსდევნებიან შატილელებს და წართმეული თხები უკანვე დაუბრუნებიათ. როცა შატილელებს შეუტყვიათ, რომ მთელი გურო შეიარაღებულა, ისინიც აშლილან და ფარ-ხმალში ჩამსხდარან. მოწინააღმდეგენი მალე შეხვედრიან ერთმანერთს და გამართულა ნამდვილი ბრძოლა. ამ შეტაკების დროს მომკვდარა 25 კაცი და დაჭრილა 40-მდე. ბევრ მოკლულთ და დაჭრილთ შესახებ გამოძიებამ ვერ გამოარკვია, ვისგან იყვნენ მოკლულნი და დაჭრილნი, რადგან საერთო შეტაკებასა და ბრძოლაში ყველა მონაწილეობას იღებდა. გამოძიებას მოწმეების ჩვენებით გამოურკვევია მხოლოდ 4 კაცის—იმედასა, სამუკასა, ანალეკასა და ძაღლიკა გოგოჩურების—მკვლელთა ვინაობა. მოკლულ იმედას ცოლს, შუკია გოგოჩურს, და სხვებს უთქვამთ, დავინახეთ, რომ იმედას ბაჭკია ჭინჭარაულმა თოფი ესროლა და მოჰკლაო. მოწმეებს ბესო, უტურკა, თვალელა და სხვა გოგოჩურებს უთქვამთ, ხვთისო ჭინჭარაულმა საერთო ბრძოლის დროს საფარიდან თოფი ესროლა სამუკა გოგოჩურს და მოჰკლაო; მეორედ გაისროლა თოფი და მოჰკლა ანალეკა გოგოჩურიო. ამავე მოწმეებს განუცხადებიათ, რომ ბაჭკია ჭინჭარაულმა მოჰკლა აგრეთვე ძაღლიკა გოგოჩურიო. პასუხის გებაში მიცემულთ, ზემოდ დასახელებულ ბრალდებულთ თავი დამნაშავედ არ აღიარეს და სთქვეს: არამც თუ არავინ მოგვიკლავს, საერთო ჩხუბშიაც კი არ მიგვიღია მონაწილეობაო. სასამართლოში ამ საქმის გარემოების შესამოწმებლად გამოჰკითხეს 8 მოწმეს, რომელთაგან ზოგმა შესცვალა თავისი ჩვენება. ბრალდებულთ იცავდა კერძო ვექილი ჯაფარიძე. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო ორივე ბრალდებული და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და დაპატიმრება: ბაჭკია ჭინჭარაულს 3 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში, ხოლო ხვთისო ჭინჭარაულს 2½ წლით საპყრობილეში.

წერილები

კავკავი. 30 მაისს, აქ ქართველების ეკკლესიაში გადახდილ იქმნა წირვის შემდეგ პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის საზოგადო მოღვაწის და მწერლის პ. უმიკაშვილის სულის მოსახსენებლად. ადგილობრივმა მღვ. მ. გ. ნათაძემ ეკკლესიაში მჭევრად მოკლედ განუმარტა განსვენებულის ვინაობა, რის შემდეგ შეკრებილ იქმნა რამდენიმე მანეთი განსვენებულის სახსოვრად საკეთილო საქმეზე მოსახმარებლად.

პანაშვიდის შემდეგ ქართველი საზოგადოება, „წ.-კითხვ. გამ. საზ.“ გამგეობის წევრის ი. გ. რატიშვილის წინადადებით შეიკრიბნენ სკოლის სამასწავლებლო ოთახში. ბ-ნმა რატიშვილმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის პ. უმიკაშვილის შესახებ, რის შემდეგაც კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა. შემდეგ შეუდგნენ სკოლის გამგის არჩევანს. ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა ამ თანამდებობაზე ბ-ნი ტ. კახიძე. ამავე დღეს 4 საათზე ქართულსავე სკოლის ახლად აშენებულ დარბაზში გაიმართა საერთო აქტი სპარსელთა, სომხთა, გერმანელთა და ქართველთა პირველ დაწყებით სკოლებს მოწაფეთათვის. ლოცვის შემდეგ ინსპექტორმა წაუკითხა დამსწრე საზოგადოებას სკოლების მოკლე ანგარიში. ანგარიშის შემდეგ მოწაფეებმა წაიკითხეს რუსული ლექსები და შეასრულეს სიმღერები რუსულადვე. მხოლოდ სპარსელების მოსწავლეებმა იმღერეს სპარსულად „ჰიმნი“. აქტს დაესწრნენ: ოლქის უფროსის თანაშემწე, ქალაქის მოურავი, სპარსეთის კონსული, საშუალო სკოლების მასწავლებლები და მრავალი ხალხი. დარბაზი მდიდრულად და კარგად თავის ხარჯით მორთო იოსებ გრ. შველევმა აქტის შემდეგ-კი

ნეთზე მეტი. სასურველია, რომ სენაკის სკოლა მალე, რაც შეიძლება მალე, დაემსგავსოს ბათუმისა და კავკავის სკოლებს. დღეს განსაკუთრებით უფრო საჭიროა ქართული სკოლა სამეგრელოში...

7. ხელთუბნის სკოლა (გორის მაზრა). სკოლა დაარსებულია 1884 წ. 1 ოქტომბერს იმავე წესით, როგორითაც დაარსდა თონეთის და წინარეხის სკოლები. სკოლისთვის უმთავრესი ხარჯის გაწევა იკისრეს ხელთუბნის, სვენეთის, ბერბუკის და სხ. სოფლის საზოგადოებამ; „წერა-კითხვის საზოგადოება“ დაჰპირდა დახმარებას. სოფლის განჩინება სკოლის დაარსების შესახებ შესდგა 1882 წ. აგვისტოში, მაგრამ ნებართვა „საზოგადოებამ“ დირექციისაგან მიიღო 1884 წ. იანვარში. სასწავლო გეგმა შედგენილი იყო თანახმად „საზოგადოების“ წესდებისა და ოფიციალურის პროგრამისა. ამ სკოლის შესახებაც ისეთი საყვედურები მიიღო გამგეობამ, როგორც წინად. დირექციამ შემოუთვალა გამგეობას, ამის შემდეგ ახალის სკოლების გახსნის ნებართვას ვერ მიიღებთ, რადგან რუსულის ენის სწავლებას არ აწარმოებთ მზრუნველის მიერ შემოღებულის პროგრამის თანახმადო.

1888 წლიდან სკოლას აქვს საკუთარი შენობა, რომლის აგებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ქ. ან. თუმანიშვილს-წერეთლისას. სკოლაში დაარსებიდან სწავლობდა 813 შაგირდი. სკოლის წარმატებას ის აბრკოლებს, რომ ბავშვები მეოთხე განყოფილებამდის არ რჩებიან სკოლაში და ხშირადაც აცდენენ დღეებს.

8. კავკავის სკოლა. კავკავის სკოლა მშვენიერად მოწყობილი სკოლაა, რომლითაც თამამად შეუძლიან იამაყოს ამით როგორც „საზოგადოებამ“, ისე კავკაველ ქართველობამ. სკოლა დაარსებულია განსვენებულის საზოგადო მოღვაწის მახ. ყიფიანის ინიციატივით, გაიხსნა 1888 წლის 10 ნოემბერს და პირველად მოთავსებული იყო დაქირავებულ სახლში. 1893 წ. სკოლამ აიშენა საკუთარი შენობა. 1898 აშენდა სკოლასთან ქართული ეკკლესია და ახალი საკლასო შენობა, რომელიც დაჯდა 15 ათას მანეთზე მეტი. წელს სკოლამ აიშენა მშვენიერი სათეატრო დარბაზიც.

სკოლა პირველად შესდგებოდა ორის განყოფილებისაგან, მერე მიემატა კიდევ ორი. პირველ წლებში სკოლას ერთი მასწავლებელი ჰყავდა, დღეს კი 5 მასწავლებელი ჰყავს. სკოლის სასწავლო გეგმა იმგვარივეა, როგორც „საზოგადოების“ სხვა სკოლებში. სკოლაში სწავლის საქმე კარგად მიდის თავიდანვე. იშვიათად მომხდარა, რომ რევიზორებს რამე ნაკლი შეენიშნოთ სკოლაში. ხშირად ვკითხულობთ რევიზორების მოხსენებაში: პროგრამა სრულებით ყოფილა შესრულებული; ყველა საგანი წარმატებით გაუვლიათ; გავლილი მასალა საკმაოდ კარგად აქვთ შეთვისებული მოწაფეებს; სწავლის საქმე კარგადაა მოწყობილი და სხ.—ამგვარსავე აზრებს გამოსთქვამენ სკოლის შესახებ დირექციის რევიზორებიც, რომლებიც ყოველთვის კარგს მდგომარეობაში ჰპოულობენ სკოლას. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლას რამდენიმე წელიწადია, ჩინებული პედაგოგი ჰყავს—ბ. ღ. ბოცვაძე.

სკოლის საქმეებს ადგილობრივ განაგებს სამზრუნველო, რომელიც აგროვებს სკოლის შესანახ ფულს. 1893 წლიდან სკოლას აქვს ბაღი, სადაც ბავშვებს ასწავლიან მებაღეობას, მებოსტნეობას, მეფუტკრეობას. 1900 წელს ქალაქის თვითმმართველობამ აჩუქა სკოლას ერთი დესეტინა მიწა ხეხილის გასაშენებლად. სკოლაში ქალებს ასწავლიან ხელსაქმესაც. 1895 წელს სკოლასთან დაარსდა საკვირაო სკოლა დიდებისათვის; საკვირაო სკოლის მიზანია, წერა-კითხვა ასწავლოს მოზრდილ ქართველებს, გადასცეს მათ გამოსადეგი ცნობები და აგრეთვე შეავსოს იმათი სწავლა-ცოდნა, რომელთაც სკოლაში უსწავლიათ. საკვირაო სკოლაში მონაწილეობას იღებენ სხვა სკოლების ქართველი მასწავლებლებიც.

სკოლას აქვს კარგად შედგენილი ბიბლიოთეკა. საზოგადოთ კავკავის სკოლისთანა კარგად მოწყობილი სკოლა მეორე არა აქვს „საზოგადოებას“. იგი მარტო პირველ დაწყებითი სკოლა კი არა, არამედ ნამდვილი ეროვნული ტაძარია, რომელშიაც სიყვარულით იკრიბებიან კავკაველი ქართველები სკოლაში დაარსებიდან უფილა სულ 1466 მოსწავლე. საყურადღებოა, რომ კავკავის სკოლის მოწაფეთაგან 50% განაგრძობს სწავლას სხვა, საშუალო სკოლებში

9. გომარეთის სკოლა (ბორჩალოს მაზრა). 5 ოქტომბერს 1897 წელს გაიმართა უკანასკნელი სკოლა „საზოგადოებისა“—გომარეთის სკოლა. შეიძლება არსად არ იყო ისე საჭირო ქართული სკოლის დაარსება, როგორც ამ მიყრუებულ, გადაკარგულ მხარეში, სადაც ოდესღაც აყვავებული იყო ქართული კულტურა და ქართული ცხოვრება, და სადაც დღეს აქა-იქ თუ გაიგონებთ ქართველის სახელს და სადაც მხოლოდ მშვენიერის ტაძრების ნანგრევები მოგვაგონებენ სიცოცხლით სავსე წარსულს. სკოლის ყოველივე ხარჯს ეწევა „საზოგადოება“. ბავშვებს ჰყავთ მუქთად მასწავლებელი და უფასოდ ეძლევათ წიგნები და სასწავლო ნივთები. 1897—1803 წლების განმავლობაში სკოლაში სწავლობდა სულ 258 მოსწავლე. 1901 წლიდან სკოლას აქვს საკუთარი შენობა. სკოლას პირველად მცხოვრებლები უნდობლად უყურებდნენ. დღეს-კი თანაგრძნობით ეპყრობიან, რომელიც თანდათან იზრდება. აქაც ისე უცქერიან ქართველები სკოლას, როგორც ნამდვილს ეროვნულს დაწესებულებას, როგორც მთელის საქართველოს სახეს და ემბლემას.

„საზოგადოების“ ყველა სკოლები ექვემდებარება სახალხო სკოლების დირექციას, ხოლო გომარეთის—საეპარქიო საბჭოს.

კალამი

(შემდეგი იქნება)

გ აიმართა საკუთრად ქართული სკოლის მოსწავლეთა პატარა საყმაწვილო წარმოდგენა. წარმოადგინეს საბავშვო პიესა „ყვავილთა შორის“. ეტყობათ, ბ-ნ მასწავლებლებს შეგირდების მომზადებისათვის ცოტა ჯაფა არ დაუშურებიათ, რადგან წარმოდგენა ცოცხლად ჩაატარეს. როგორც თვით ბავშვების მშობლები, ისე სხვა საზოგადოება ნასიამოვნებნი დაბრუნდნენ შინ. ბ. ლ.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ივნისი

ჩიფუ. („რეიტ. სააგ.“). იაპონელებმა ხელში ჩაიგდეს ჩიფუს ახლოს ნავების ფლოტილია, რომლებითაც მიჰქონდათ ბრინჯი და ფქვილი პორტ-არტურისათვის. იაპონელებმა იჩივლეს დაოტაისთან, უცხოელი კომერსანტები საქონელს ჰგზავნიან პორტ-არტურსო.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). ოთხი ათას კაცისაგან შემდგარ რუსების ჯარს 10 ზარბაზნით უჭირავს გამაგრებული ადგილი ფუჩჟოუსთან.

პეტერბურგი. დაინიშნენ: გვარდიის ქვეითა ჯარში მყოფი საგენერალო შტაბის გენერალ-ლეიტენანტი დემბოვსკი—ციმბირის არმიის მე-5 კორპუსის უფროსად; საგენერალო შტაბში მყოფი მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ინფანტერიის გენერალი სობოლევი—ციმბირის არმიის მე-6 კორპუსის უფროსად. ვილნოს სამხედრო ოლქის არტილ ერიის უფროსს გენერალ-ლეიტენანტს ლისუნოვს უმაღლესად ებძანა კოვნოს ციხის კომენდანტობა იკისროს.

ირკუტსკი. ადგილობრივმა კომერსანტმა ვტორმა გახსნა საკუთარის ხარჯით სადგურ ბაიკალზე უფასო სახაიე ყველა გამვლელ ჯარებისათვის. ჯარის კაცებს ეძლევათ ჩაი, შაქარი, შეუძლიათ ჩაი საჩაიეში დალიონ ან ვაგონებში შეიტანონ.

ინკოუ. („რეიტ. სააგ.“). აქაური რუსთა მეცხოვნე ჯარი წავიდა 31 მაისს ჩაიჯოუს დივიზიასთან (?) შესაერთებლად. მეცხოვნე ჯარის მაგიერ დააყენეს სემიპალატინსკიდან მოსული ჯარები. რუსები ენერგიულ მოქმედების დაწყებას აპირებენ სამხრეთში.

2 ივნისი

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). პალატა. ერთის დეპუტატის შეკითხვაზე პირველმა მინისტრმა ბალფურმა განაცხადა, რომ ინგლისსა და რუსეთს შორის დაწყებული მოლაპარაკება შეთანხმების შესახებ იმგვარ საფუძველზე არ არის დამყარებული, როგორზედაც ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებაო.

დრეზდენი. მეფე გვარიანად არის.

სარატოვი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით დაიწყო კომიტეტის მუშაობა საგლეხო კანონმდებლობის ახალ პროექტის განსახილველად.

ორიოლი. საგუბერნიო კომიტეტმა საჭიროდ ჩასთვალა, რომ გლეხთათვის განსაკუთრებული სამოქალაქო და სისხლის სამართლის წესდება იქმნას შემუშავებული (უკანასკნელი—ვოლოსტის სასამართლოში სახმარებლად); საჭიროდ დაინახა აგრეთვე გაადვილდეს სათემო მიწათ-მფლობელობის შეცვლა კერძო მესაკუთრეობის წესით. არჩეულ ექმნა ოთხი კომისია პროექტის სხვა-და-სხვა ნაწილის განსახილველად.

სოფია (ოპოზიციის წრეებიდან). სერბიის მეფე პეტრე ბოლგარიის მთავარს სადარბაზოდ ესტუმრება მთავრის საზაფხულო რეზიდენციაში. სტუმრობას კერძო ხასიათი ექმნება.—რადგან ბოლგარიის მთავრობამ ერთი მილიონი ფრანკი ასესხა მაკედონიიდან გადახვეწილთ, უკანასკნელებმა შესძლეს ადრიანოპოლის ვილაეტში დაბრუნება.—მაკედონიიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის მთავრობამ ღონისძიება მიიღო რკინის გზებზე უშიშრად მოგზაურობის უზრუნველ-ყოფისათვის: ყოველ მატარებელზე ჯარის კაცები არიან, საქონელსა და ბარგს ბეჯითად სინჯავენ.

პარიზი. კარტეზიანელთა საქმის გასარჩევად კომისია დაინიშნა.

პეტერბურგი. ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოების თაოსნობით დაარსდა ხსენებულ მოღვაწეთა ურთიერთ დამხმარებელი კასსა.

კამიშლოვი. დაიწყო სამკურნალო სეზონი კურინის მადნის წყლებზე.

გიანგცზე. ჰფიქრობენ, რომ ინგლისის ექსპედიციას 7—8 ათას კაცისაგან შემდგარი ტიბეტელების ჯარი გაუწევს წინააღმდეგობას; ბევრს მათგანს თოფები აქვს. რადგან დამტკიცდა მათი ვაჟკაცობა, ცხადია, რატომ უნდა დაადგეს ინგლისის პატარა რაზმი მხოლოდ მოგერების ტაქტიკას. ელიან, რომ მდგომარეობა მალე გამოიცვლება, რადგან ინგლისელებს მაშველი ჯარი უახლოვდებათ.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ივნისი

ვექსილის კურსი 13 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,35
ლონდონისაზე ჩეკები	94,55
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,55
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	91⅜
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	370 „
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	290½
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	266 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. . . .	—

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, ![illegible] ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

დაიკარგა ქალის

ოქროს საათი

◆ № 102036 ◆

ვთხოვთ საათის მოხელეებს ყურადღება მიაქციონ. მნახველი ჯილდოთ 20 მანეთს მიიღებს. ადრესი: შორაპანის დეპო, ნიკოლოზ გრიგოლის ძე ცინცაძე. (3—2846—3)

СѢДЕЛЬН.

СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла

მიხაილოვის პრ., სახლი აკოპოვისა, № 92, საზაფხულო სათეატრონის ახლოს. (წ.—176—32)

ფასი 25 კაპ. დაიბეჭდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ფასი 25 კაპ.

„ლ ა ლ ა ტ ი“

ისტორიული ლეგენდა 5 მოქ. თავ. ა. ი. სუმბათაშვილისა, თარგ. კ. მესხის-მიერ. ვინც 50 კაპ. ეგზემპლიარზე მეტს იყიდის—წიგნი დაეთმობა 18 კაპ. ადრესი: Грузинское Издательское товарищество. (0—10)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან ვიწყებ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემი სამხედრო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—28) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უჭურჭლოდ.

კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/2 ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. ტელეფონი № 1013.

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—6)

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000), ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთა საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11) საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების გამგეობა იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—16)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მაწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.О.П.

С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლ ე ო პ ო ლ დ ნ ე ი შ ე ლ ლ ე რ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346 ერევნის მოედანი. (60—5.—42)